2609 06
ღ-ბერძ

პროექტი

110-0110 (56)

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა და სუვერენიტეტის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და პოლიტიკური ქმედებების შესწავლის მიზნით:

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. შეიქმნას რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია 3 თვის ვადით.
2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს 10 წევრით.
3. კომისიის წევრობის კანდიდატები წარდგენილ იქნენ ამ დადგენილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.
4. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

დავით ბაქრაძე

თბილისი,
2008 წლის 26 სექტემბერი.